შვეიცარია

- **შვეიცარიის მიმართულებით გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** ჩაბარების მისამართის განსაზღვრა ხორციელდება შპს "საქართველოს ფოსტის" აგენტის წარმომადგენელსა (კურიერს) და ადრესატს შორის სატელეფონო საუბრის შედეგად შეთანხმებულ ადგილზე, შემდგომი პროცედურის დაცვით:

➢ სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის" აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, აგენტი ოფისის წარმომადგენელი(კურიერი) აუცილებელი წესით ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას ადრესატთან, რომელთანაც აზუსტებს გზავნილის ჩაბარების ადგილსა და დროს და მხოლოდ ამის შემდგომ ახორციელებს ვიზიტს. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის" აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი.

- **შვეიცარიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** ჩაბარების ვადების ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის" მიერ დადგენილი გაგზავნის დღიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ლოზანა, ჟენევა	**17-19** კალენდარული დღე

- **შვეიცარიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის" აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები
1.	ლოზანა	**CHEMIN DES LYS 14** **ZIP CODE -1010**	+41779916106 +995 555155511 (Viber.Whatsapp)	**ორშაბათი**- 8:00სთ-დან-12:00სთ-მდე **სამშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **ოთხშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **ხუთშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **პარასკევი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **შაბათი**-8:00სთ-დან-12:00სთ-მდე **კვირა**- 8:00სთ-დან-12:00სთ-მდე	ლოზანა ჟენევა

გასათვალისწინებელია: სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- **შვეიცარიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის ფასდადებით გაგზავნა არ ხორციელდება.**

საქართველოდან გაგზავნის ტარიფები:

ამანათის გაგზავნის ადგილი		*ამანათის შიგთავსის სახეობა*	*წონა*	*გადამხდელი*	*ფასი*
შვეიცარია	**ლოზანა, ჟენევა**	პირობებით დაშვებული ნებისმიერი საქონელი, გარდა მედიკამენტებისა	1 კგ	გამგზავნი	**18.3 ლარი**
		მედიკამენტები	300 გრ	გამგზავნი	**18.3 ლარი**